

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 22 ნოემბერს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

• ნატიგ მიზანები აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №36122/06

აპლიკანტი ნატიგ ფაქტად მირზაევი მოქალაქეობის არმქონე პირია, დაიბადა 1971 წელს და ამჟამად სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის გობუსტანის ციხეში (მდებარეობს ბაქოსთან ახლოს) მკვლელობის, ქურდობისა და სხვა ჩადენილი დანაშაულის გამო. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდობით განმცხადებელი ჩივის საპატიმროში არსებული უმკაცრესი პირობების გამო, რის შედეგადაც იგი დაავადდა ტუბერკულიოზით და ასევე, შემდგომი ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის არარსებობის გამო. განმცხადებელი ასევე მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევაზე, რადგან მის მიერ შეტანილი საჩივრების განხილვა, რომლებიც ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ იყო შეტანილი და მოითხოვდა არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობის გამო კომპენსაციას, მისი აზრით, არასამართლიანად მიმდინარეობდა, რადგან განხილვები მისი თანდასწრების გარეშე მიმდინარეობდა.

სასამართლო დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს დაეკისრა 1500 ევროს გადახდა განმცხადებლის სასამართლოდ, არამატერიალური ზიანის დასაფარად.

• ანდრეევი ესტონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №48132/07

აპლიკანტი სერგეი ანდრეევი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1961 წელს და ამჟამად ექვსწლიან სასჯელს იხდის მისი არასრულწლოვანი ქალიშვილის მრავალჯერ გაუპატიურების გამო. განმცხადებლის მტკიცებით, მას არ მიეცა საშუალება მის წინააღმდეგ წარმოებული საქმის გასაჩივრების უფლება, რაც მისი აზრით კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის მოთხოვნათა დარღვევაა. პერძოდ, ადვოკატმა, რომელიც მას სახაზინო წესით დაენიშნა, კანონით დადგენილ ვადებში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

სასამართლო დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

• ცენტრალური ხმელთაშუაზღვის განვითარების კორპორცია მალტის წინააღმდეგ – განაცხადი №18544/08

აპლიკანტი კომპანია რეგისტრირებულია მალტაში. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი კომპანია ჩივის არასამართლიანი განხილვების გამო, რომელიც ეხებოდა საგზაო სამუშაოების წარმოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების

ადსრულების შეჩერებას. კერძოდ, განმცხადებელი მიუთითებს, რომ მოსამართლეები მიკერძოებულები იყვნენ, რადგან სასამართლოს იმავე შემადგენლობამ განიხილა საქმის არსებითი მხარე.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

• კურმი მალტის წინააღმდეგ – განაცხადი №2243/10

აპლიკანტი ჰელენ კურმი მალტის მოქალაქეა, დაიბადა 1922 წელს და ცხოვრობს კუნძულ მენზე. საქმე ეხება 1988 წელს განხორციელებულ ქალბატონი კურმის კუთვნილი მიწის ექსპროპრიაციას, რომელიც მდებარეობდა კუნძულ მარსაქსლოკზე (მალტა). განმცხადებელი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მისი მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა არ უკავშირდებოდა საზოგადოებრივ ინტერესს და რომ 21 წლის შემდეგ, მას კვლავაც არ მიუდია რაიმე კომპენსაცია. იგი მიუთითებს კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის დარღვევაზე. ასევე, ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი, რადგან მიუხედვად იმისა, რომ საქმის საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვისას დადგინდა, რომ მისი უფლებები დაირღვა, მას კვლავაც არ გააჩნია ეფექტური საშუალება, კომპენსაციის მიღების მოთხოვნით მიმართოს ადგილობრივ სასამართლოს.

სასამართლმ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი და კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სასამართლომ ახევვ დაადგინა, რომ სამართლიანი დაჯმაყოფილების (კომპენსაციის) საკითხი ეხება მატერიალური და არამატერიალური ზარალის ანაზღაურებას და მხარეებს შეთავაზა, წარმოედგინათ თავიანთი შენიშვნები ამ საკითხის თაობაზე. დღევანდელ განხინებაში სასამართლომ განმცხადებელს მიაკუთხა 4.500 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• ფრენდო რანდონი და სხვები მალტის წინააღმდეგ – განაცხადი №2226/10

საქმე ეხება მალტის 46 მოქალაქის მიერ შეტანილ საჩივარს მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთების ექსპროპრიაციის გამო, რომელიც განხორციელდა 1969 წელს, რათა აშენებულიყო მალტის საერთაშორისო აეროპორტი. კონვენციის პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელები ჩივიან, რომ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა არ ემსახურებოდა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საჭირო დონისძიებას, რადგან მას შემდეგ გავიდა 42 წელი და დღემდე იმ ადგილას არაფერია აშენებული. რაც შეეხება კომპენსაციას – მათ არაფერი მიუდიათ. უფრო მეტიც, კომპენსაციის მოთხოვნით მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას და 31 წლის განმავლობაში დღემდე მიმდიარეობს საკითხის განხილვა, რაც განმცხადებლების აზრით, წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქტოხ I მუხლი და კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. რაც შეეხება სამართლიანი დაქმაყოფილების საკითხს (კომპენსაცია), სასამართლომ საკითხის გადაწყვეტა გადადო და მხარეებს შეთავაზა წარმოედგინათ თავიანთი შენიშვნები ამის თაობაზე.

- **სალიბა და სხვები მალტის წინააღმდეგ – განაცხადი №20287/10**

საქმე ეხება საკუთრებას (არსებითად 25 ბინას), რომელსაც ფლობდა მალტის 18 მოქალაქე სენგლეაში (მალტა) და მე-2 მსოფლიო ომის დროს დაზიანდა. განმცხადებლები ჩივიან, რომ მთავრობამ აღნიშნული საკუთრება თავის მფლობელობაში გადაიტანა – დაანგრია და ახალი ბინების მშენებლობა დაიწყო – კომპენსაცია, რომელიც მთავრობამ მათ გადაუხადა უმნიშვნელო იყო და მე-2 მსოფლიო ომამდე არსებული ფასების მიხედვით იყო დაანგარიშებული. ისინი ჩივიან, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქტოხ I მუხლი. შემდგომში ისინი ჩივიან, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვები გაჭიანურებით მიმდინარეობდა. განმცხადებლების მტკიცებით, ის ფაქტი, რომ მთავრობამ მათი საკუთრება „პირდაპირი შესყიდვის“ პროცედურის გავლით არ შეიძინა, როგორც წესი დისკრიმინაციულია, რაც კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაა კონვენციის პირველი ოქტოხ I მუხლთან მიმართებაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქტოხ I მუხლი და კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. რაც შეეხება სამართლიანი დაქმაყოფილების საკითხს (კომპენსაცია), სასამართლომ საკითხის გადაწყვეტა გადადო და მხარეებს შეთავაზა წარმოედგინათ თავიანთი შენიშვნები ამის თაობაზე. დღვეანდელ განხინებაში სასამართლომ თოთოულ განმცხადებელს მიაკუთვნა 3.000 ევრო არამატერიალური, ხოლო 4.800 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დახაფარად.

- **ლასადენა სალერო ესპანეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23002/07**

აპლიკანტი ესპანეთის მოქალაქეა და ცხოვრობს მადრიდში. 2000 წლის 20 სექტემბერს, საჯარო განხილვის შემდეგ, აპლიკანტის ქმარი, რომელიც ადვოკატია, გამართლდა თაღლითობისა და გაყალბების ბრალდებაში. საქმე ეხებოდა ფარულ გარიგებას ობლიგაციების გაცემაზე, სავარაუდოდ იპოთეკური გარანტიის უზრუნველყოფით, რაც რეალურად არ არსებობდა. გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც ბრალდების მხარემ, ასევე – რამდენიმე ბრალდებულმაც. 2003 წლის 2 სექტემბერს მიღებული ორი განხინების თანახმად, რომელიც გამოტანილ იქნა განმცხადებლის მეუღლის გარეშე, უზენაესმა სასამართლომ მიუსაჯა ერთი წლით პატიმრობა თაღლითობის ხელშეწყობისა და დაფარვისათვის. განმცხადებლის მეუღლემ შეიტანა აპელაცია საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ იგი გარდაიცვალა გადაწყვეტილების გამოტანამდე.

სასამართლომ ნება დართო მის მეუღლეს საქმე გაეგრძელებინა, ხოლო განმცხადებლის მოთხოვნა უარყო. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებლის მეუღლე ამტკიცებს, რომ ესპანეთის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი მისი მეუღლის სხდომაზე დაწრების გარეშე გამოვიდა, მაშინ, როცა პირველი ინსტანციის სასამართლომ ის გაამართლა საქმის საჯარო განხილვების შემდეგ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეյისრა 8.000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასამართლოდ არამატერიალური ზიანი დასაფარად, ხოლო 5.000 ევრო ხარჯების დასაფარად.

• რესეპ ქურთი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23164/09

აპლიკანტი რესეპ ქურთი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს მალათიაში (თურქეთი). მისი ვაჟი ეკრემ ქურთი დაიბადა 1986 წლის 27 აგვისტოს და გარდაიცვალა 2007 წლის 6 მარტს, როდესაც ის სამხედრო ჯარში მსახურობდა. 2006 წელს ეკრემ ქურთი დარეგისტრირდა, როგორც ახალწვეული და გაიარა საგალდებულო სამედიცინო შემოწმება. ფსიქიატრის მიერ შემოწმდა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და დადგინდა, რომ მას აწუხებდა ნერვული აშლილობა, თუმცა სამხედრო სამსახურში მისი მიღება დასაშვებად მიიჩნიეს. სამხედრო მომზადების შემდეგ, ეკრემ ქურთი გიულაზის უანდარმერიაში გაანაწილებს. იქ ის გასინჯა ყაზარმის ექიმმა, რომელმაც დაადგინა, რომ ეკრემს აწუხებდა ვიზუალური და სმენითი პალუცინაციები. ამის შემდეგ მას აეკრძალა იარაღის ტარება. 2007 წლის 6 მარტს ეკრემ ქურთი თავის საგუშაგო პოსტზე იპოვეს გარდაცვლილი. თავში მოხვედრილი პქონდა ორი ტყვია, რაც სასიკვდილო აღმოჩნდა. კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტი ჩივის, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი ვაჟის სიცოცხლის დაცვა. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლები, რადგან გამოძიების მსვლელობისას მას შეხვდა პროკურორი, რომელიც შვილის გარდაცვალების ფაქტს იძიებდა და რომ თურქეთის კანონმდებლობაში არ არსებობდა ქმედითი უფასობრი მისაგებელი მისი საჩივრების განსახილველად.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი სიცოცხლის დაცვის ნაწილში, ხოლო გამოძიების ნაწილში არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი. სამართლებრივი დაქმაყოფილების კუთხით სახელმწიფოს დაეისრა 18.000 ევრო არამატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო 1.500 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• **ალდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – განაცხადი №42078/02**

აპლიკანტი ჯანეტ ალდერი ბრიტანეთის მოქალაქეა და ცხოვრობს ლანკაშირში. საქმე ეხება მისი ძმის სიკვდილს (ძმა ეროვნებით ნიგერიელია), რომელიც მოხდა ჰუმბერსაიდის პოლიციის განყოფილებაში 1998 წლის 1 აპრილს, მას შემდეგ რაც ის წესრიგის დარღვევის გამო დააკავეს. განმცხადებელი მიუთითებს კონვენციის მე-2 მუხლის, მე-3 მუხლისა და მე-14 მუხლების დარღვევაზე.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ აღიარა, რომ ბატონი ალდერის სიკვდილის გარემოებების გამოძიებისას არაეფექტური გამოძიება ჩატარდა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან მიმართებაში და რომ მის მიმართ განხორციელდა არაადამიანურ მოპყრობა კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლებთან მიმართებაში.

დადგენილი გარემოებებისა და შეთავაზებული კომპენსაციის გათვალისწინებით, რომელიც 26.500 ევროს ოდენობისაა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის შემდგომი განხილვა არ არის მართებული და კონვენციის 37-ე მუხლის I ნაწილის „C“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმე ამორიცხა განსახილველ საქმეთა სიიდან.

ანალოგი საქმეები

• **კრასნოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №18892/04**

საქმე ეხება ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, რომლის თანახმადაც განმცხადებელს უნდა მიეღო გადაუხდელი სამხედრო ფულდი დახმარება. აპლიკანტი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, პირველი ოქმის I მუხლი და კონვენციის მე-13 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი და კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

• **ბაიაგი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45140/05**

აპლიკანტი დაპატიმრებული იყო ქურთების მუშათა პარტიის (რომელიც თურქეთში უკანონო ორგანიზაციადაა აღიარებული) დახმარების გამო, რომელიც მოგვიანებით გაამართლეს და გაათავისუფლეს. განმცხადებელმა კომპენსაციის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. წარმოდგენილ განაცხადში აპლიკანტი ჩივის, რომ მისი საჩივარი ადგილობრივმა სასამართლოებმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილეს, რაც მისი აზრით კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევაა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

გაჭიანურებული საქმეები

- გიულდანე აკარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი № 1395/03

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონკენციის პირველი ოქტოხ I ძუხლი და კონკენციის მე-6 ძუხლის I ნაწილი.

- იუმუსაკი და ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №15725/07

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონკენციის მე-6 ძუხლის I ნაწილი და მე-13 ძუხლი.